F56+w 3136

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-10 წელი

№ 18 (136)

დეკემბერი,

1965 წელი



მთავრდება თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა

სულ მალე მწყობრში ჩადგება საქართველოს დედაქალაქის „მიწისქვეშა სართული" — თბილისის მეტროპოლიტენი. თითქმის ყველაფერი მზად არის. მიმდინარეობს უკანასკნელი სამუშაოები. ამ დღეებში მოეწყო მეტროპოლიტენის საცდელი გაშვება, რომელმაც წარმატებით ჩაიარა. ეს ფოტოსურათები ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტმა სწორედ თბილისის მეტროპოლიტენში გადაიღო.





კადრები მრეწველობისათვის

ფართოდ გაუშლია მხრები ჰადრებსა და ცაცხვებს თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის ეზოში. ეს ხეები დარგეს ყოფილი რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის ეზოში მისი დაარსების წელს, 87 წლის წინათ.

ყოველ წელს ტექნიკუმს ორასამდე ახალგაზრდა ამთავრებს. ისინი მუშაობას იწყებენ საწარმოებში მელითონე-ტექნიკოსებად, ელექტრიკოსებად, მანქანათმშენებლებად, ჩამომსხმელებად, შედუღებლებად, რადიო და ტექაპარატურის სპეციალისტებად. ბევრი მათგანი საწარმოს დირექტორი, დამსახურებული ინჟინერი, სამრეწველო წარმოების თვალსაჩინო სპეციალისტი გახდა.


იმ დღეებში, როცა ტექნიკუმი თავის 85 წლისთავს აღნიშნავდა, მისალოცი წერილი გამოგზავნა ამ სასწავლებლის ყოფილმა აღზრდილმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ბაგრამიანმა.

უკვე ოცდაათი წელია მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის უცვლელი ხელმძღვანელია მ. ა. ჯიბუტი. მისმა დაუცხრომელმა ენერგიამ დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ ამ საშუალო სპეციალურ სასწავლებელს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ჩვენს ქვეყანაში თავისი აღჭურვილობითი და სწავლების დონით ანალოგიური პროფესიის ტექნიკუმებს შორის.

სტუდენტთა ტექნიკური სწავლების პროცესში ფართოდ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს. ორი კინოდარბაზი — დიდი, ყოველნაირი ფილმის ჩვენებისათვის და მცირე, სასწავლო ფილმების ჩვენებისათვის — სავსებით ავტომატიზებულია. იშვიათად არის, რომ ფილმი არ უჩვენონ ქიმიისა და ფიზიკის მეცადინეობის დროს.

თვითეულ ლაბორატორიასა და აუდიტორიას აქვს დისტანციური მართვის დიაპროექტორები. ლითონსაჭრელი ჩარხების კურსის მასწავლებელი გ. კარბელაშვილი, სამსხმელო წარმოების მასწავლებელი რ. რაზმაძე, შესადუღი საქმისა — დ. ფხაკაძე ლექციების დროს ეკრანზე უჩვენებენ ფოტოსურათებს, ნახაზებს, სქემებს.

წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მასწავლებელი მანქანების კაბინეტის მაკეტი. ექსპონატმა სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა, კაბინეტი აღჭურვილია მასწავლებელი მანქანებით. ამ კაბინეტში ეწყობა გამოცდები მეტწილ ტექნიკურ საგნებში — ფიზიკაში, მათემატიკაში, კონტროლს უწევენ სტუდენტთა ცოდნას.



რუსთავი, ქართული ფოლადის ქალაქი, ქიმიის ქალაქიც გახდა. აქ მუშაობს სინთეტიკური ბოჭკოს ქარხანა.

სურათზე: ქარხნის მოწინავე მჭსოველი მერი ბოცვაძე.


ახალი საწარმოები

თელავში აშენდა წინდის ფაბრიკა. როცა ფაბრიკა მთელი სიმძლავრით ამუშავდება, იგი გამოუშვებს მეტ ნაწარმს, ვიდრე რესპუბლიკის დღემდე არსებული ყველა მონათესავე საწარმო უშვებს.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობა რამდენიმე დარგისაგან შედგება. ეს არის მატყლის, ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლის, წინდის, საფეიქრო, ავეჯის წარმოება. დასახულია დიდი ცვლილებები ამ დარგებში. მაგალითად, საფეიქრო-საგალანტერიო დიდი ფაბრიკა შენდება ხაშურში. იგი პროდუქციის გამოშვებით ყველა ახლანდელ საწარმოს გადააჭარბებს. 17 მილიონზე მეტ ნაწარმს გამოუშვებს წელიწადში „საქტრიკოტაჟის“ ფაბრიკა, რომლის მშენებლობა დასახულია საბურთალოს რაიონში. ექვსი ახალი სამკერვალო ფაბრიკა ამუშავდება რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში.

ძირეულად გადაკეთდება ტრიკოტაჟის ფაბრიკები. ისინი აღიჭურვება ახალი ტექნოლოგიური მოწყობილობებით.

შენდება მსუბუქი მრეწველობის მთელი რიგი ახალი ობიექტები: ცხაკაიაში — ხალიჩების საქსოვი ფაბრიკა, ბათუმში — ტყავის ქარხანა, თელავში — აბრეშუმსახვევი ფაბრიკა და სხვ.



სურათზე: ქალაქ მახარაძის ცენტრალური მოედნის ერთ-ერთი კუთხე.

მთლიანი ელექტროფიკაციის...

ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოებრივმა საპროექტო ბიურომ შეიმუშავა პროექტი, რომლის შესაბამისად უნდა განხორციელდეს ქანთის გზის კიდევ ერთი უბნის ელექტროფიკაცია. ეს უბანია ბაქიდან „პოსტი 89-ე კილომეტრი“ წითელწყაროს სადგურამდე — რამდენიმე ათობით კილომეტრი სიგრძისა. ეს არის ამიერკავკასიის მაგისტრალის მთლიანი ელექტროფიკაციის პროექტის ნაწილი. იგი შეადგინეს სპეციალისტებმა საზოგადოებრივ საწყისებზე, რომელიც მოიწონა სსრ კავშირის გზათა სამინისტროს ელექტროფიკაციისა და ენერგეტიკული მეურნეობის მთავარმა სამმართველომ.

ეს პროექტი ითვალისწინებს პირველად საბჭოთა კავშირში მაღალი ძაბის ვიწროლიანდაგიანი ტოტის ბორჯომ-ბაკურიანის, აგრეთვე სხვა უბნების ელექტროფიკაციას.

ჩვენს ქვეყანაში რკინიგზების ელექტროფიკაციის პირმშო — ამიერკავკასიის მაგისტრალი გადაეცა სსრ კავშირში ძალიან ელექტროფიკაციის პირველი მაგისტრალიც. როგორც ცნობილია, უკვე ახლა აქ ელმავლები და თბომავლები ახორციელებენ სატვირთო გადაზიდვებსა და მგზავრთა გადაყვანის 90 პროცენტზე მეტს.

ტრაქტორები

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიახლენი

ტრაქტორის ნახევრად კიდურ აგრეგატს უშვებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნები. აგრეგატი გათვალისწინებულია მდელოებისა და საძოვრების გასაუმჯობესებელ სამუშაოთა კომპლექსის შესასრულებლად. იგი ფრეზავს ნიადაგს, შეაქვს მინერალური სასუქი, თესავს ბალახს, თესვის შემდეგ კი ტკეპნის ნიადაგს.

* * *

ჭუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანამ გამოუშვა სამთო მოტორიზებული ხელის სათიბელა, რომელსაც ველოსიპედის მოტორის ამძრავი აქვს. სათიბელას წარმატებით იყენებენ მთაგორიან ადგილებში, რომლებიც მიუვალია ჩვეულებრივი ტრაქტორებისათვის.

* * *

პამიდორის მოსაყვანად ლითონის საყრდენებიანი ახალი ტიპის შპალერი შეიმუშავა დიღმის მებოსტნეობა-მერქნეულობის საბჭოთა მეურნეობამ. ახალი შპალერის დაყენება ერთ ჰექტარ ბოსტანში 650 მანეთით ნაკლები ჯდება, ვიდრე ამ მიზნისათვის გამოყენებული ბეტონის საყრდენები. გაისად პამიდორის შპალერული მეთოდით მოსაყვანად ლითონის საყრდენებს გამოიყენებენ 500 ჰექტარზე.

* * *

სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის ხერხები. ბაღებსა და ვენახების მავნებლებთან და დაავადებებთან საბრძოლველად უშვებენ ტრაქტორზე მისაბმელ მძლავრ სასხურებლებს. ბაღებში შხამიანი ნისლის შესაქმნელად იყენებენ აეროზოლურ სასხურებელს „რაკეტას“. შხამიანი ნისლი ანადგურებს ხეხილის მავნებლებს.

* * *

სამთო მიწათმოქმედების მანქანათა სისტემის შესამუშავებელი ცენტრალური საუწყებათშორისო კომისიის რეკომენდაციით ამჟამად უშვებენ: მუხლუხა ტრაქტორებს მიწისა და საპლანტაჟო სამუშაოებისათვის, აგრეთვე გადიდებული გამავლობის უნივერსალურ ტრაქტორებს, რომლებსაც ოთხი წამყვანი თვალი აქვს და გათვალისწინებულია სათოხნი კულტურების მოსავლელად, მისი მოსავლის ასაღებად, სატრანსპორტო და სხვა მიზნებისათვის.

„ვეფხისტყაოსანი“ და ქართული თეატრი

უკვე რამდენიმე წელია თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე მუშაობს თემაზე „ვეფხისტყაოსნის“ დრამატული ელემენტები“. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა ხთხოვა ნ. ურუშაძეს გაეცნო თავისი მუშაობა.

— რვა საუკუნეა, — თქვა ნ. ურუშაძემ, — „ვეფხისტყაოსანი“ მთელი კაცობრიობის უცვლელ აღტაცებას იწვევს. მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა ამ პოემაში იპოვეს თავიანთვის საინტერესო მასალები. მაგრამ მეცნიერები ჯერ კიდევ ვერ ჩასწვდნენ მთლიანად უკვდავი ქმნილების სიღრმეს. შოთა რუსთაველის პოემაში დრამატურგიის უმრავი ელემენტია. ყველასათვის ცნობილია პოემის მოქმედებისა და სიუჟეტის სწრაფი განვითარება. აქ დრამატული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ბევრი კლასიკური მონოლოგი, რეპლიკა, მწვავე სიტუაცია და კონფლიქტია.

საქართველოს მკვლევართა ერთსულოვანი აზრით, რუსთაველის დროს ლექსები იწერებოდა არა პოეზიის ცალკეულ მოყვარულთათვის, არამედ უმრავი მსმენელისათვის. პოეტი მაშინ ერთსა და იმავე დროს შემთხზველიც იყო და დეკლამატორიც. შემდეგ ტრადიციად გადაიქცა „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვა დიდი აუდიტორიის წინაშე. XIX საუკუნეში პოემის საუკეთესო მკითხველებად ითვლებოდნენ ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, ბარბარე ჯორჯაძე, მამია გურიელი და სხვები. ნაწყვეტებს პოემიდან კითხულობდა და კითხულობს ბევრი ქართველი მსახიობი.

სხვადასხვა დროს პოემა შთააგონებდა სხვადასხვა ჟანრის — ბალეტის, ოპერის, კინოს ხელოვანს, იყო ცდა შეექმნათ პოემის სცენური ვარიანტი დრამატული თეატრისათვის.

სცენასთან რუსთაველის პოემის კავშირის საკითხის გამოკვლევას პირველად მოჰკიდა ხელი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა დიმიტრი ჯანელიძემ. მთელ რიგ საინტერესო სტატიებში იგი ეყრდნობა პოემის თეატრალურ სანახაობითს ტერმინებს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ „ვეფხისტყაოსანს“ კავშირი ჰქონდა XII საუკუნის თეატრ „სახიობასთან“. მოგვიანებით, აღორძინების პერიოდში განსაკუთრებული შემთხვევების დროს თეატრებში წარმოადგენდნენ ხოლმე რუსთაველის, თეიმურაზისა და არჩილის „საუბრის“ ინსცენირებას. ამასთან ფართოდ იყენებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსს. ამრიგად, პოემის კავშირი თეატრთან XIX საუკუნემდე მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ სრულდებოდა ამ პოემის ნაწყვეტები, ან „საუბრები“ რუსთაველთან.

„ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირება პირველად სცადა გიორგი ფირალიშვილმა (1768-1823 წ.წ.) — გიორგი მეფის მდივანმა. ფირალიშვილი პეტერბურგში ცხოვრობდა და თარჯიმნად მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, 1805 წელს მან დაწერა ხუთმოქმედებანი ტრაგედია „ინდოეთის მემკვიდრე, ანუ სამშობლოს სიყვარული“. პიესის ხელნაწერი დაიკარგა, მაგრამ შემორჩენილია რეცენზიები, რომლებიც მეტად საინტერესო ცნობებს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეს იყო სათავგადასავლო ნაწარმოები, რომელშიც მთავარი ყურადღება ეთმობოდა ნესტან-დარეჯანისა და ფარიელის ამბავს. საგულისხმოა, რომ ტრაგედიაში დარღვეულია კლასიციზმის იმ დროს გაბატონებული პრინციპი — დროის, ადგილისა და მოქმედების ერთიანობისა.

მოგვიანებით პოემა გაასცენიურეს ოქროპირ ბაგრატიონმა და გიორგი ერისთავმა. ო. ბაგრატიონის ტრაგედია „ვეფხისტყაოსანი“ 1883 წელს დაიბეჭდა მოსკოვში. წინასიტყვაობაში ინსცენირების ავტორი აღნიშნავდა, რომ სცადა დაეცვა მხოლოდ მოქმედების ერთიანობა. როგორც პოემაში, ისე ტრაგედიაში ნესტან-დარეჯანს ეძებენ სხვადასხვა ქვეყანაში, ამიტომ ადგილის ერთიანობის დაცვა შეუძლებელია. ავტორი ცდილობდა დაეცვა ტრაგედიის სიუჟეტის განვითარების ლოგიკურობა. როგორც ჩანს, იგი დიდად განსწავლული იყო ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ ტრაგედიაში გამოყენებულია იმ დროისათვის უკვე დიდი ხნის მივიწყებული ანტიკური ჭორო. ტექსტში ორგანულად შეხამებულია ნაწყვეტები რუსთაველის პოემიდან, მათი პერეფრაზები, აგრეთვე ავტორის ორიგინალური ლექსები.

ხუთმოქმედებიანი იყო აგრეთვე პროფესიული დრამატურგისა და სცენის პრაქტიკოსის გიორგი ერისთავის ინსცენირება. მისი ტექსტი თითქმის მთლიანად რუსთაველისეულია. ხელნაწერი აპრელებულია უმრავი პრაქტიკული მითითებებით, რაც აუცილებელი იყო პიესის სცენური დადგმისათვის.

XIX საუკუნის დამლევის ცნობილმა ქართველმა მსახიობმა კოტე მესხმა დაწერა სამმოქმედებიანი პიესა „რუსთაველი“. პიესა დაიდგა 1890 წლის 14 დეკემბერს ავტორის ბენეფისის დროს და უდიდესი წარმატება ჰქონდა. მოქმედ პირთა შორის იყვნენ თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, დავით სოსლანი, ზაქარია მხარგრძელი, რუსთაველის მეუღლე გაიანე და სხვები. შოთა რუსთაველი პიესაში ხალხის დამცველად არის გამოყვანილი. ეს ნაწარმოები 30 წლის განმავლობაში იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

ბევრ მწერალსა და დრამატურგს უცდია შეექმნა პოემის სცენური ვარიანტები. ქართული თეატრის რეჟისორის თანაშემწემ ალექსანდრე თამაზაშვილმა დაწერა ხუთმოქმედებიანი დრამა პროზად — „ვეფხისტყაოსანი“. 1901 წელს კი პეტერბურგში გამოიცა როსტომ მყინვარის ლიტერატურულ-სცენური კომპოზიცია, რომელიც შედგებოდა 15 სურათისა და აპოთეოზისაგან. 1909 წელს პეტრე მირიანაშვილმა რუსთაველის პოემის მიხედვით დაწერა პიესა, მაგრამ იგი არ დადგმულა სცენაზე. ეს პიესა გამოიყენა ლიბრეტოდ ოპერისათვის ლევან ფალიაშვილმა.

საბჭოთა პერიოდში შოთა რუსთაველის უკვდავმა პოემამ გაიტაცა კოტე მარჯანიშვილი. სცენურ ლიტერატურულ მონტაჟზე მუშაობდა ცნობილ თეატრალურ მოღვაწეთა მთელი ჯგუფი — კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, მიხეილ ქორელი, აკაკი ფალავა, დოდო ანთაძე და სხვები. შედგენილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ დადგმის გეგმა, განაწილებული იყო როლები, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო „ვეფხისტყაოსანი“ არ დადგმულა.

რუსთაველის შესახებ სცენისათვის დაწერილ ნაწარმოებთა ავტორებს შორის არიან სანდრო ახმეტელი, ნიკოლოზ შიუკაშვილი, შალვა დადიანი, გიორგი ჟურული, დავით კასრაძე და სხვები.

„ვეფხისტყაოსნის“ დრამატული ელემენტების პრობლემაზე მუშაობა არ დამთავრებულა.



თინათინის და ნესტანის სიყვარულის ღირსი მხოლოდ გმირთა უკვდავება არის მარადისი!

შენს გარშემო ყველა დროის მღელვარება რგოდა, უსაყვარლეს სამშობლოის მშვენებაო, შოთა!

მარგალიტთა დიდთა მტევნად და ოქროდა ჰქროდა სიტყვათ შენთა შადრევანი, ცემა ჩოგანთ შნოთა.

შენი გული უსასრულო სიყვარულით თრთოდა, შოთა, ერის სიქადულო, ღვთაებრივო შოთა!

გალაკტიონ ტაბიძე.

პორტრეტების კოლექცია

თბილისის 47-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ბორის კანდელაკი 20 წელზე მეტია აგროვებს შოთა რუსთაველის პორტრეტთა ფოტოპირებს.

ბ. კანდელაკს ერთერთ ყველაზე საინტერესო შენაძენად მიაჩნია „ახალი ცხოვრების“ სერიაში შემავალი წიგნის ყდა, რომელიც 90-იან წლებში გამოვიდა და ახლა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ყდაზე უცნობი ავტორის ნახატია — მაგიდას უსხედან სარგის თმოგველი, იოანე შავთველი, შოთა რუსთაველი, ჩახრუხაძე და ყორთლუ-ასლან ჯაყელი. ყდის მეორე მხარეზე ტექსტია: „ეს ნახატი ამოკვეთილია ბრინჯაოს ფილაზე, რომელიც რაჭაში იპოვეს სორის ეკლესიის ნანგრევებში. ფილის მეორე მხარეზე ხუცური შრიფტით არის დაწერილი ზემოაღნიშნული სახელები და მოცემულია XIII საუკუნის „ქრონიკა“. ამ წარწერის საფუძველზე ძველი XIII საუკუნეს განკუთვნებოდა. მაგრამ თვალსაჩინო მეცნიერთა შ. ამირანაშვილისა და ვ. ბერიძის აზრით ეს უფრო მოგვიანო პერიოდის ნაწარმოებია.

ახალ ექსპონატთა შორის არის შოთა რუსთაველის იმ ბიუსტის ფოტოსურათი, რომელიც ა. თარხნიშვილმა გამოაქანდაკა. ეს სურათი გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ 1921 წლის გამოცემაში, რომელიც დ. ქარიჭაშვილმა განახორციელა. კოლექციონერს აქვს მოქანდაკე სახვაძის მიერ ლითონზე ამოჭედილი რუსთაველის პორტრეტის ფოტოპირი. ეს ნაწარმოები მ. შოლოხოვს დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით მიუძღვნა გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციამ. ახალი ექსპონატია აგრეთვე პოეტის პორტრეტთა ასლები, რომლებიც შესრულებულ ნ. ფიროსმანიშვილმა და XIX საუკუნის რუსმა მხატვარმა ბუროვმა.

ყურადღებას იპყრობს XVII საუკუნით დათარიღებული პოეტის გამოსახულების ფოტოასლი — იმერეთის მეფის (XVII საუკუნე), მდივნის მამუკა თავაქარაშვილის მიერ დახატული რუსთაველის პორტრეტი, იტალიელ ქრისტეფორე კასტელის მიერ 1640 წელს შექმნილი პორტრეტი. იტალიელი მხატვრის ნაწარმოების დედანი ვატიკანშია. ასლი კი საქართველოში გამოგზავნა მ. თამარაშვილმა.

კოლექციაში არის აგრეთვე თვითნასწავლი მხატვრების ტყავიაველი გლეხის შ. მარიდაშვილის ფერწერული ტილო „რუსთაველის დატირება იერუსალიმში ქართველი ბერების მიერ“ და მისივე სკულპტორული პორტრეტი, თვითნასწავლი მხატვრის გრაკალელი ს. ტატიშვილის ნაწარმოების, უდელი გლეხის ს. ყულოვანაშვილის ქანდაკების ფოტოსურათები.

კოლექციონერის ფონდში დაცულია საქართველოს მხატვრებისა და მოქანდაკეების მიერ შესრულებული შოთა რუსთაველის თითქმის ყველა პორტრეტის ასლები. ახლა ბ. კანდელაკმა მიზნად დაისახა შეავსოს თავისი კოლექცია საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების მხატვართა ნაწარმოებებით

და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილი

(დასასრული)

12 აგვისტო. დღეს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების შენობაში მოვიდა რამდენიმე აქტივისტი პეტრესთან და მის მეუღლესთან შესახვედრად. აინტერესებდათ სტუმრების მიერ საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებანი.

აი რა განაცხადა ჟალბატონმა პოლეტიმ:

— ჩემმა მეუღლემ ადრევე ბევრი რამ მიამბო ქართველებისა და საქართველოს შესახებ. ამიტომაც უკვე აქ ჩამოსვლამდე დარწმუნებული ვიყავი, თუ რა სასიამოვნო და ამაღელვებელი იქნებოდა ჩვენი შეხვედრა. სინამდვილემ მაინც მოლოდინს გადააჭარბა. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ საუცხოო ხალხს დავუკავშირე ჩემი ცხოვრება, რომ ერთბაშად ამდენი ნათესავი და მეგობარი შევიძინე. დიდი მადლობა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებას, რომელმაც ეს ბედნიერება მომანიჭა.

პეტრე: — ოცდახუთი წლის შემდეგ პირველად ვინახულე ჩემი სამშობლო და ნათესავ-მეგობრები. ოცდახუთი წელი გავატარე უცხოელთა შორის შორეულ მხარეში, მაგრამ არასოდეს არ დამვიწყებია, რომ მე ქართველი ვარ, არასოდეს არ შემირცხვენია ჩემი სახელი, თქვენი სახელი. სამჯერ ჩავვარდი გერმანელ ფაშისტთა ტყვეობაში და სამჯერვე გავიქეცი, არ დამიშურებია ჩემი ენერგია, სისხლი და სიცოცხლეც კი საძულველ მტერთან საბრძოლველად. დიდი ხანია სურვილი მქონდა საქართველოში ჩამოსვლისა და თუ აქამდე ვერ შევძელი, ეს ზოგიერთი ჩემი ნაცნობის „დამსახურებასა“ და მეტისმეტ „მზრუნველობას“ უნდა მიეწეროს. ბოლოს, მე მაინც სხვათა რჩევას დავუჯერე და კმაყოფილიც დავრჩი.

რა შთაბეჭდილებებით ბრუნდები საფრანგეთში? მხოლოდ და მხოლოდ კარგი შთაბეჭდილებებით. მე რამდენიმე წელიწადია მიწერ-მოწერა მაქვს ჩემს ნათესავებთან საქართველოში, ვკითხულობ გაზეთ „სამშობლოს ხმაში“ გამოქვეყნებულ მასალებსაც. ამდენად დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა ჩემს სამშობლოში. მაინც, გულახდილად გითხრათ, ამდენს არ მოველოდი. დღევანდელი საქართველო მთელი აღმოჩენაა ჩემთვის იმ აზრით, რომ აქ ძალიან ბევრი რამ შეცვლილა, უფრო კარგი, მომხიბლავი გამხდარა, შეცვლილა როგორც ქალაქის, ისე სოფლის სახე, ცხოვრება შეუდარებლად წინ წასულა.

საქართველოში ჩვენი ყოფნის დღეები შესანიშნავად იყო ორგანიზებული. ორ კვირაზე მეტი ჩემს მშობლიურ გორში გავატარეთ. დანარჩენი დრო კი საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მოგზაურობას მოვანდომეთ. ვინახულეთ როგორც ძველი, ისე ახალი კულტურის კერები, მრეწველობის მნიშვნელოვანი ცენტრები: თბილისი, მცხეთა, ბორჯომი, რუსთავი, თელავი, ბათუმი... ვნახეთ საფრანგეთის პარტიზანულ რაზმებში ჩემთან ერთად მებრძოლი ქართველი ამხანაგები. ყველაფერი, რისი ნახვის სურვილიც გვქონდა, ვნახეთ.

როგორც ჩემთვის ცნობილია, უკანასკნელი წლების განმავლობაში თქვენმა საზოგადოებამ მრავალი ახალგაზრდა თანამემამულე მოიწვია სტუმრად საქართველოში. ზოგიერთ მათგანს მე პირადად ვიცნობ, ისინი ისე, როგორც მე, აღფრთოვანებული არიან აქ გატარებული დღეებით და ახლა გამუდმებით კვლავ საქართველოში ჩამოსვლაზე ოცნებობენ. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ, ჩემი აზრით, თქვენ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოთ იმ პირთა სტუმრად მოწვევას, რომელთაც ადრე უცხოვრიათ საქართველოში. მე მხედველობაში მყავს ისინიც, რომლებიც ასე თუ ისე დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური წუობილების მოწინააღმდეგენი არიან. ჩემი ღრმა რწმენით, საკმაოა ამ ადამიანებმა სულ რამდენიმე დღე გაატარონ საქართველოში, რომ სამუდამოდ აიღონ ხელი მის ლანძღვა-გინებაზე, ამას მათ აიძულებს თქვენ მიერ მიღწეული წარმატებანი.

რას ვუსურვებთ თქვენს საზოგადოებასა და გაზეთ „სამშობლოს ხმას?“ მუშაობის კიდევ უფრო გაფართოებას, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებას, საქმე, რომელსაც თქვენ ემსახურებით, უაღრესად კეთილშობილური, ერის ინტერესებისათვის სასარგებლო საქმეა.



13 აგვისტო. მე, ნიკო და ალექსი ქიტიაშვილები ტუ-104-თან ვდგევართ და ხელის ქნევით ვემშვიდობებით საფრანგეთში მიმავალ პეტრეს. სხვა გამცილებლები საფრენ მოედანზე არ შემოუშვეს, რადგან ისინი მეტისმეტად ბევრნი იყვნენ.

— მალე დაბრუნდით, — ხელით ანიშნებს ნიკო და თვალებს ცხვირსახოცით იმშრალებს.

პეტრე თავს უქნევს და ისიც ცხვირსახოცს იფარებს თვალებზე.

მერე ფანჯარაში პატარა ლავრენტის თავი მოჩანს. ის ჯერ რაღაცას გვეძახის ხმამაღლა, მერე პატარა თითებს სათითაოდ კეცავს და — ელვი, ოღი, სამი, ოთღი, ხუთი, ეფსი, შვიდი, ღვა, ცხრა, ათი, — ხმამაღლა ვითვლი მე.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — გახარებულები უძახიან ქვევიდან ბიძები და ჰაეროვან კოცნას უგზავნიან.

თვითმფრინავი აგუგუნდა და ნელა დაიძრა.

ლავრენტი მამამისის მუხლებზე დგას და ისევ რაღაცას გვეტიტინება.


და მე თითქოს კვლავ მესმის თვითმფრინავის გამაყრუებელ ხმაურში მისი სასიამოვნო ხმა:

მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი.

გ. კავთიაშვილი.

* * *

ეს სურათები პეტრე ქიტიაშვილმა საქართველოში გადაიღო. ზემოთ, პეტრე თავის ქალიშვილთან ერთად მცხეთაში, ქვემოთ — ვაჟიშვილთან ერთად კახეთში



* დასასრული. დასაწყისი იხ. გაზ. „სამშობლოს ხმა“ № 17 1965 წ.

წყალტუბოს ფილიალში

წყალტუბო. როცა ირღვევა ნივთიერებათა ცვლა ორგანიზმში და ხერხემალში გროვდება მარილები, ადამიანი წელში ვეღარ იხრება. ამ სენს დისკოზს უწოდებენ. სწორედ ამ სენმა დააკარგვინა თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშაკს ივანე აკოფოვს შრომის უნარი. მაშინ პროფკავშირის საქარხნო კომიტეტმა მისცა საგზური კურორტოლოგიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალში სამკურნალოდ. ეს იყო მიმდინარე წლის გაზაფხულზე. ოცი დღის შემდეგ, როცა წყალტუბოდან მოემგზავრებოდა, ი. აკოფოვი უკვე უყავარჯნოდ დადიოდა. ამჟამად იგი გადის მკურნალობის მეორე ციკლს.

ოცდაათიოდე წელია არსებობს კურორტოლოგიის ინსტიტუტის ფილიალი წყალტუბოში.

ამ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების კოლექტივი სწავლობს თერმული წყაროების სამკურნალო თვისებებს, ამუშავებს მკურნალობის ახალ კომპლექსურ მეთოდებს. გამოკვლილი ექიმები ვ. ჯორჯიკია, ბ. ბერიძე, ა. სიმონიან-ფარცხალაძე, დ. შავლაშიძე, მ. კინწურაშვილი და სხვები იკვლევენ ჰიპერტონული დაავადების, კარდიოსკლეროზის, გულის მანკის, ჭალთა უშვილობის, რადიკულიტის, ბავშვთა რევმატიზმის მკურნალობის მეთოდებს.

არქეოლოგიური გათხრები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის პროფესორ ა. აფაქიძის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური გათხრები მოახდინა დაბა ჯვარის და სოფელ ლიის მიდამოებში.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა საინტერესო კერამიკული მასალები, რიყის ქვისაგან ნაგები აკლდამების ნაშთები, მრავალრიცხოვანი თიხის მილები, ჩაინის წიდა, მადნის სასრესი საფქვნელი ქვები და სხვა. არქეოლოგების დასკვნით, აღნიშნული მასალები განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის მეორე და პირველი ათასწლეულების მიჯნას.

◆

მეცნიერთა ლაგორატორიებში

ტვინის დისპეტჩერი არტერიები

ტვინის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია სისხლით მომარაგებაზე. მილიონობით ნერვული უჯრედი (ნეირონი) ძალიან მგრძნობიარეა და ადვილად აღიქვამს სისხლის მიმოქცევის ყოველგვარ დარღვევას. საკმარისია შევაჩეროთ სისხლის მიწოდება რამდენიმე წამით, რომ მაშინვე დაირღვეს ტვინის მოქმედება. ისინი თავის მხრივ აფერხებენ ორგანიზმის ნორმალურ მუშაობას.

ტვინის სისხლის მიმოქცევის პრობლემები დიდი ხანია იპყრობს მეცნიერთა, თეორიული და პრაქტიკული მედიცინის მუშაკთა ყურადღებას. მგარამ, ტვინის სისხლძარღვები, რომელთა საშუალებით ხორციელდება საკვებ ნივთიერებათა მიწოდება ტვინის ქსოვილებში, ძნელი შესასწავლი იყო.

ტვინის არტერიები „სალაპარაკეს“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის პათოფიზიოლოგიისა და მორფოლოგიის განყოფილების მეცნიერებმა. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა გიორგი მჭედლიშვილმა თანამშრომელთა ჯგუფთან ერთად შეძლო შეესწავლა ტვინის სისხლძარღვები ისეთ პირობებში, რომლებიც უახლოვდება ორგანიზმის ნორმალურ მდგომარეობას. ამან საშუალება მისცა მას აღმოეჩინა დიდმნიშვნელოვანი კანონზომიერებანი არტერიული სისტემის მოქმედებაში, აღმოეჩინა ტვინის სისხლით მომარაგების მარეგულირებელი ნერვული მექანიზმები. ამ პრობლემების გადასაწყვეტად მუშაობაში ჩაებნენ თბილისის, პოლონეთისა და შვეიცის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების სპეციალისტები, რომლებიც ერთად იკვლევენ ცალკეულ საკითხებს.

ტვინის არტერიები, როგორც ფიზიოლოგებმა დაადგინეს, თავისებური დისპეტჩერებია. ისინი არა მარტო საკვებს აწვდიან ნეირონებს, არამედ აქტიურად არეგულირებენ ტვინის სისხლით მომარაგებას. ამასთან არტერიული სისტემის თვითეული ნაწილი ასრულებს ზუსტად განსაზღვრულ ფუნქციებს. მაგალითად, დიდი მაგისტრალური არტერიები არეგულირებენ სისხლის განუწყვეტელ მოდინებას ტვინის ყველა სისხლძარღვში, ხელს უშლიან არტერიული წნევის მერყეობას. უფრო წვრილი (ეგრეთწოდებული პიალური) არტერიები სისხლით უზრუნველყოფენ თავის ტვინის ქერქის ინტენსიურად მომუშავე ნაწილების მოთხოვნილებას.

ბევრი ექსპერიმენტის საშუალებით დადგინდა, რომ არტერიების გაფართოება, რაც საჭიროა ტვინში ნივთიერებათა ნორმალური ცვლისათვის, დამოკიდებულია სიგნალებზე, რომლებსაც უშუალოდ ტვინის ქერქიდან იღებენ სისხლძარღვებში.

გაირკვა აგრეთვე მაგისტრალური არტერიების სპაზმის მექანიზმი, რომელიც ტვინის მეტ წილ დაავადებებს იწვევს.

ტვინის სისხლის მიმოქცევის რეგულაციის ფიზიოლოგიური მექანიზმების კვლევა ედიცებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ უფრო ეფექტიანი საშუალებანი ტვინის დაავადებებთან საბრძოლველად, რომლებიც უმთავრესად დაკავშირებულია სისხლით მომარაგების დარღვევასთან.

კირი... ცემენტის ნაცვლად

საქართველოში არის კირქვის, ბაზალტის, პერლიტის, ტუფის პრაქტიკულად ულევი ბუდობები. ეს მინერალური საუცხოო ნედლეულია იაფი, მაგრამ დიდად გამძლე სხვენი მასალების მისაღებად. მაგალითად, კირქვისა და ვულკანური ქვის ნარევისაგან სპეციალისტები იღებენ სხვადასხვა მარკის სილიკატურ ბეტონებს. ისინი მზადდება მარტივი ტექნოლოგიით და ჩვეულებრივისაგან განსხვავებით მცირე წონა და ნაკლები ღირებულება აქვთ.

კირქვებსა და ვულკანურ ქვებს იყენებენ ავტოკლავის მეთოდით სილიკატური აგურის, ბლოკებისა და დიდი პანელების დასამზადებლად.

თბილისის სამენ მასალათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ავტოკლავის ნაწარმის ლაბორატორიის თანამშრომლებმა შეიმუშავეს სილიკატურ ნაკეთობათა გამოშვების ღონისძიებანი მოქმედი საწარმოების მუშაობის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, მკვლევარებმა წინადადება წამოაყენეს გაადიდონ ალამეთისა და ჭიათურის საშენ მასალათა კომბინატების სიმძლავრენი ადგილობრივი ნედლეულის გამოყენების ხარჯზე. გორის ქარხანაში მათ რეკომენდაცია მისცეს სილიკატისაგან აწარმოონ კედლის პანელები მაღლივი შენობებისათვის, ავჭალის სილიკატური კედლის მასალების ქარხანაში კი — დამაზადონ არა მარტო აგურები და ბლოკები, არამედ სილიკატ-ბეტონის დიდი კონსტრუქციები.

მეცნიერებმა შეიმუშავეს თბილისში, რუსთავში, გორში, ბათუმსა და კახეთში სამშენებლო ინდუსტრიის ახალ საწარმოთა მშენებლობის სქემა. მკვლევარებმა წინადადება წამოაყენეს ნედლეულად გამოიყენონ ადგილობრივი ქვიშები და რუსთავის მეტალურგიული, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნების წიდა, აგრეთვე კირქვის ღორღი

ქართველი ფიზიოლოგები იაპონიაში

„ქართველ მეცნიერთა მოხსენებებმა ფიზიოლოგთა XXIII საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც ტოკიოში გაიმართა, დელეგატთა დიდი ინტერესი გამოიწვია“, — უთხრა „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა **ს. პ. ნარიკაშვილმა,** რომელიც იაპონიიდან დაბრუნდა. დიდი ყურადღებით მოისმინეს კონგრესზე აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის საინფორმაციო მოხსენება ფსიქიკური მოქმედების სტრუქტურულ და ფიზიოლოგიურ საფუძვლთა შესახებ.

ამ ნაშრომში მხცოვანმა მეცნიერმა განაზოგადა თავის ტვინის მოქმედების უმაღლესი ფორმის მრავალი წლის კვლევის შედეგები. როგორც ცნობილია, თავის ტვინის მოქმედება განსაზღვრავს ცხოველთა და ადამიანის ქცევას. მოხსენებასთან ერთად აკადემიკოსმა ი. ს. ბერიტაშვილმა კონგრესის მონაწილეებს უჩვენა მეცნიერული ფილმი, რომელიც ცხოველების ქცევათა რეაქციების ძირითად დებულებათა და კანონზომიერებათა ილუსტრაციაა.

ძილისა და მღვიძარობის საკითხთა სექციის სხდომაზე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. პ. ნარიკაშვილმა წაიკითხა მოხსენება იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს მოგრძო და შუა ტვინის გარკვეული წარმოქმნები დიდი ნახევარსფეროების ქერქის ელექტროაქტივობაზე. მეცნიერმა თავის თანამშრომლებთან ერთად დააზუსტა მექანიზმი, რომელსაც დიდი ნახევარსფეროების ქერქზე თავისი მოქმედებით მღვიძარობის მდგომარეობიდან გადაჰყავს იგი ძილის მდგომარეობაში. ამასთან გათვალისწინებულია ელექტროაქტივობის ხასიათი.

თურმე ასეთი უნარი ჰქონია თავის ტვინის ღეროს არა მთელ ქვედა ნაწილს, როგორც წინათ ფიქრობდნენ, არამედ მოგრძო ტვინის შეზღუდულ მონაკვეთს.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის გამგემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ბაკურაძემ კონგრესის მონაწილეებს გააცნო იმ ნერვული და ჰუმორალური მექანიზმების ახალი კვლევის შედეგები, რომლებიც ქუჩის სეკრეტორულ მოქმედებას აწესრიგებენ.

საერთაშორისო კონგრესზე ახალგაზრდა მეცნიერმა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელმა ვაჟა ოკუჯავამ წაიკითხა მოხსენება ზუსტი მექანიზმების შესახებ, რომლებიც საფუძვლად უდევს ეპილეფსიურ შეტევებს და გამოვლინებულია კვლევის უახლესი მიკროფიზიოლოგიური მეთოდების საშუალებით. მეცნიერი ხელოვნურად ქმნიდა ეპილეფსიურ კერას თავის ტვინის ქერქში ელექტროგაღიზიანების საშუალებით, პენიცილინის ხსნარის შეტანით ან გაცივებით. ამ დროს სწავლობდა ცალკეული უჯრედების მოქმედებას მიკროელექტროდის მეშვეობით, რომელიც ქერქის ნერვულ უჯრედში შეჰყავდა.

ტოკიოს საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობამ შესაძლებლობა მისცა ქართველ მეცნიერებს გასცნობოდნენ ფიზიოლოგთა უახლოეს მიღწევებს, განამტკიცონ უკვე არსებული მეცნიერული ურთიერთობა და ახალი კონტაქტები დაამყარონ საზღვარგარეთელ კოლეგებთან.

წაუკითხეთ თქვენს პატარებს

სულწასული

იოსებ გრიშაშვილი — სამი ლექსი

მამამ ფული აჩუქა:
„იყიდეო — რაც გინდა!“
ნუცამ ფული იხელთა —
მოჰკურცხლა და
გაფრინდა.

დაინახა ნაყინი,
შეხვეული ლამაზად,
„მოდი, ამას ვიყიდი!“
გაიფიქრა ანაზდად.

იყიდა და შინ მიაქვს,
რომ აჩვენოს მამასა.
სული წასძლევს.. ქუჩაში
მოინდომებს ჭამასა!..

სახლში გელოდებიან,
გაეშურე ნუცა შინ!
ეგ რა საქციელია,
ნაყინსა ჭამ ქუჩაში?

ეგ რა საქციელია,
დაიხედე, აბა, ზედ?
ვიშ! ნაყინის წუნწკლები
დაგცემია კაბაზედ.

დედამ დაუტატანა,
გაუწყრა და გათათხა...
— აგრე გინდა, ნუციკო,
სულწასული რადა ხარ?

მიყიდე

ისე ვერ გამოვსულვარ
მე შინიდან გარეთა,
რომ არ ამეკვიატო
გულსაკლავად მწარედა.
ისე ვერ გამივლია
მაღაზიის წინარე,
რომ არ შემომწუწუნო
ცრემლებ ჩამომდინარე.
არ გაშინებს ნივთების
სიმძიმე და სიდიდე,
ყველაფერზე იძახი:
„მიყიდე“! და „მიყიდე!“
შუშაბანდს რომ დაჰყურებ,
მორთულს ნაირფერებად,
ყველა ნივთი შენს ასაკს
განა შეეფერება?
რაც გეკუთვნის — მე ვიცი,
კიდეც შემიძენია.
ეს ხრიალა, ეს ბურთი,
ეს თოჯინაც შენია.
შენ კი რასაც შეხედავ,
სადაც უნდა მიხვიდე,
ყველაფერზე იძახი:
„მიყიდე!“ და „მიყიდე!“
კმარა ჩემო შვილიკო,
კმარა, თორემ იცოდე,
ნამდვილ სახელს
წაგართმევ
და „მიყიდეს“ გიწოდებ.



მეც წამიკითხე, ძამიკო!

ძილისგუდა

მსურს გაზეთში გავწერო
ლილი თავართქილაძე,
იმის ნაცვლად, რომ ახტეს
ყოველ სისხამ დილაზე —

გაშოტილა ლოგინში,
თითქოს იყოს სნეული;
დედას ასე უბრძანებს:
„მომაწოდე რვეული!

— დედი, ჩაი დამისხი,
— დედი, ღილი ამიწყდა.
— გაკვეთილი ამიხსენ,
დედი, გადამავიწყდა“.

გოგო! არა გრცხვენიან
დასაქმება დედისა?
რომ არ გახდე შემდეგში
მომდურავი ბედისა —

ადექ, შეინავარდე,
სხეულს როგორ ანაზებ?
ყველგან დედა გაგყვება?
რად არ ფიქრობ ამაზე?!

ტვინს ტალკვესი გაჰკარი,
ნუ ნებივრობ ლოგინში,
უსწავლელი დამრჩები
დახმარების ლოდინში.

მაყვალა მრევლიშვილი

ღილა მშვიდობისა

— ჩიტო, ჩიტო, ნაცარავ,
ვის უგალობ, ვისა?
—შენ გიგალობ, პატარავ,—
დილა მშვიდობისა!
—მზეო, მზეო, ცხრათვალა,
ვის უცინი, ვისა?
— გაიღვიძე, პატარავ,
დილა მშვიდობისა!
— პაწაწინა ყვავილო,
რად გაშალე კვირტი?
— შენთვის მინდა,
აბა დამაკვირდი!
— მეც ახლავე ავდგები,
მეც დავიბან პირსა,
ყველას მივესალმები:
— დილა მშვიდობისა!

ღიმპიტაური

ცეკვა უყვარს გიჭუნას,
თითის წვერზე დაუვლის.
აბა, ლხინი გიყვარდეს!
დაჰკრეს დიმპიტაური.
საკრავები — რა გინდა!
სკამები თუ მაგიდა.
გაბუა და გეგია
კარგი დამკვრელებია.

ოჭროს ბურთი მოგორავს,
ტაში, ტუში, ტაშებო!
ათამაშებს გოგონას.
დაურგინა გარშემო.
ეს კი არის... ხანდახან
გაუხტება განდაგან
და სკუპ-სკუპით აურევს
თავის დიმპიტაურებს.
გაღდადურიც ჩაბუქნა,
კოტრიალიც გაუდის.
ამისთანა ცეკვაა
ჩვენი დიმპიტაური!

კიკლი

კიკლი,
კიკლი,
კიბესა,
ყურცქვიტების ციხესა
ბაჭიები სკუპიან, —
მელა კბილებს ილესავს:
— სტაფილო მაქვს
ჩანთითო,
აქეთ ჩამოგრძანდითო!
— არ ჩამოვალთ, არაო,
მელა მატყუარაო!

ნოდარ დუმბაძე

გოჭები

დასდევს კუდში მურია
ლანძღვითა და გინებით,
მთელი ეზო დათხარეს
პაწაწინა დინგებით.

გუშინ დოქი გატეხეს,
ჩაიპარნენ ყანაში,
დაერივნენ წიწილებს,
მერე ჩაწვნენ ტალახში.

ამისთანა რა მოხდე,
ამის ფასი რა ნახეს!

ერთი ვაშლის გულისთვის
ერთმანეთი გალახეს.
არ ისმენენ არაფერს
ამოდენა ყურებით,
აღარც თხოვნა ესმით და
აღარც საყვედურები.
თუ არ გამოსწორდებით,
წნელით გაიტკიცებით,
არ გრცხვენიათ,
გოჭებო? —
ღორებივით იქცევით.

სათვალე

ბები, როგორ დავიჯერო,
რომ სათვალე კარგია,
იმ დღეს ვცადე, გავიკეთე,
არაფრად არ მარგია.
ვეღარც ფისო დავინახე,
ვეღარც ჩვენი თემური,
სათვალეა ხელს რომ
გიშლის,
შენ კი თვალებს ემდური.
გახსოვს, გუშინ,
საყვარელო,
მთელი დღე რომ მაწვალე?
თურმე ცხვირზე გეკეთა და
მაძებნინე სათვალე.

არტილერისტის გმირობა

სამივე ხარისხის დიდების ორდენის კავალერი


ძნელი გზა განვლო კავკასიონიდან ბერლინამდე სახელგანთქმულმა არტილერისტმა ბ. დ. კოკოზაშვილმა დიდი სამამულო ომის წლებში.

კოკოზაშვილმა საბრძოლო ნათლობა მიიღო ქალაქ ორჯონიკიძისათვის ბრძოლებში. ბატარეის ჯგუფუღი, რომელშიც იგი მსახურობდა, ინტერნაციონალური იყო — მასში შედიოდნენ ქართველი, რუსი, უზბეკი, ყაზახი და თათარი. გრიგოლ კოკოზაშვილი, 26 კომისრის სახელობის ქარხნის ზეინკალი, პირადი მაგალითით, მამაცობითა და გმირობით აღაფრთოვანებდა სხვებს საბრძოლო გმირობისათვის.

გ. კოკოზაშვილი იხსენებს ბრძოლას დონბასის ერთ-ერთი მსხვილი დასახლებული პუნქტის მისადგომებთან. გაჩაღებულ ბრძოლაში დაიღუპა ქვემეხის მეთაური ა. ფილიმონოვი. ამ გადამწყვეტ მომენტში კოკოზაშვილმა იკისრა ბატარეის მეთაურობა. მტერს თვს დაატეხა არტილერიის ცეცხლი, ფაშისტებს უდიდესი ზარალი მოუვიდათ და ვეღარ შეძლეს შეეკავებინათ ჩვენი ჯარების იერიში. მამაცობისა და ხაზრიანობისათვის გრიგოლ კოკოზაშვილი დააჯილდოვეს დიდების ორდენით.

ოქროს ასოებით ჩაიწერა დიდი სამამულო ომის მატიანეში საბჭოთა მეომართა გმირობა დნეპრის ფორსირების დროს. კოკოზაშვილის ბატარეა ერთ-ერთი პირველი გადავიდა მდინარის მარჯვენა ნაპირზე. გაცოფებული ფაშისტები გააფთრებულ კონტრიერიშებზე გადმოვიდნენ ჩვენი მედესანტეების წინააღმდეგ. ფაშისტებმა შეძლეს მწყობრიდან გამოეყვანათ ორი ქვემეხი, მაგრამ ჩვენი მეომრები არ შემდრკალან. საბჭოთა მეომართა მცირე დესანტი, რომელშიც კოკოზაშვილი შედიოდა, მტერს ჩვენი მთავარი ძალების მოსვლამდე უმკლავდებოდა. დნეპრის ფორსირებაში მონაწილეობისათვის გრიგოლი დააჯილდოვეს დიდების მეორე ორდენით. ხოლო ბერლინის ისტორიულ ბრძოლაში მონაწილეობისათვის კოკოზაშვილი დააჯილდოვეს დიდების მესამე ორდენით. ამრიგად, კოკოზაშვილი სამივე ხარისხის დიდების ორდენის კავალერი გახდა. მამაცი მეომრის მკერდს ამშვენებს აგრეთვე ხუთი საბრძოლო მედალი.

არმიიდან დემობილიზების შემდეგ გრიგოლ კოკოზაშვილი მშობლიურ ქარხანას დაუბრუნდა, სადაც იგი ომამდე შრომობდა. შემდეგ იგი გადავიდა ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. და აქაც წარმოების მოწინავე მუშაკის, საუკეთესო ზეინკალ-მემონტაუის სახელი მოიხვეჭა. ამავე საწარმოში შრომობს მისი ვაჟი ტრისტანი — ელექტროკარის მძღოლი.



ქალაქი ფოთი, ნავსადგურში.

ელჟავლის ელექტრონული პულსი

თბილისის საოკომოტივო დეპოს ერთ-ერთ ელმავალზე პირველად ჩვენს ქვეყანაში გამოჩნდა ორიგინალური სიახლე. ამ ლოკომოტივის მაღალი ძაბვის კამერაში, რომელიც ლენინაკანი-ბილის-ახდერისა და კიროვაბად-თბილისი-ბათუმის გაგრძელებული წევის უბნებზე მუშაობს, დადგეს ელექტროენერგიის სტატისტიკური მრიცხველი.

ახალი კონსტრუქციის ხელსაწყო შეიმუშავა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის კოლექტივმა.

ელექტროენერგიის სტატისტიკურ მრიცხველს დიდი უპირატესობა აქვს ელექტროდინამიკურ მრიცხველებთან შედარებით, რომლებიც ამჟამად ჩვენს ელექტროხაზებზე მუშაობს. მთავარია, რომ ახალი ელექტრონული ხელსაწყო, რომელსაც ორი ციფერბლატი აქვს, საშუალებას იძლევა ცალ-ცალკე გაზომოს ლოკომოტივის მიერ დახარჯული ელექტროენერგიის რაოდენობა, აგრეთვე იმ ელექტროენერგიის რაოდენობა, რომელიც მუშავდება და კონტაქტურ ქსელში ბრუნდება რეკუპერაციის (დამუხრუჭების) მომენტში.

გარდა ამისა, ახალ მრიცხველს სრულებით არა აქვს მბრუნავი ნაწილები და ელმავლებზე მისი დადგმის დროს საჭირო აღარ არის ამორტიზატორები, როგორც ამას წინათ აყენებდნენ. ზუსტ გაზომვაზე სრულებით არ ახდენს გავლენას ტემპერატურის მერყეობა მინუს 40 გრადუსიდან პლუს 50 გრადუსამდე. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ხელსაწყოს დიდ საიმედოობას ექსპლოატაციის დროს.

თეატრი და ცხოვრება

სოფელ რუხის კულტურის სახლში მიდიოდა სპექტაკლი „ოდიშელი არწივი“. ეს სპექტაკლი ასახავს საბჭოთა კავშირის გმირის გრიგოლ სხულუხიას ცხოვრებას.

დარბაზში სიჩუმე დაარღვია შეძახილმა „მამა!“. გმირის ქალიშვილმა ვერ გაუძლო ფაშისტების მიერ მამის წამებას. ოკუპირებულ ჭირიმში ფაშისტებმა მხეცურად აწამეს გმირი, მაგრამ ვერც ერთი სიტყვა ვერ დააცდევინეს.

მაყურებელმა სცენაზე ნახა სხულუხიას ახლო მეგობარი ილარიონ ფარცვანიაც, რომელიც ახლა ბუხალტრად მუშაობს კოლმეურნეობაში. მეგობრები ერთად იყვნენ მძიმე შეტევითს ბრძოლებში და სამუხარო უკანდახევის გზებზეც. ისინი მუდამ იქ იყვნენ, სადაც განსაკუთრებით ჭირდა. დამთავრდა ომი. ილარიონ ფარცვანია მარტო დაბრუნდა თავის მშობლიურ სოფელში. ის დაბრუნებულა მისი მეგობარი, რომელიც გმირულად დაიღუპა ფაშისტურ დილეგში.

დამთავრდა სპექტაკლი, მაგრამ მაყურებლები არ გადიოდნენ დარბაზიდან. ისინი კვლავ და კვლავ იძახებდნენ მსახიობებს სცენაზე, მადლობას უხდიდნენ მათ. სცენაზე მეგობრულად გადაეხვივნენ ერთმანეთს ფარცვანია-მსახიობი და ფარცვანია ბუხჰალტერი.

სპექტაკლი „ოდიშელი არწივი“ ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის მშრომელებს უჩვენა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სახალხო თეატრმა. გრიგოლ სხულუხიას როლს ასრულებდა ოსტატის თანაშემწე ვალიკო ხუბულური. სხვა როლებს ასრულებდნენ მუშები დავით ჯანჯალაშვილი, ფრიდონ გურამიშვილი და სხვები. პიესა „ოდიშელი არწივი“ დაწერა ახალგაზრდა დრამატურგმა თამაზ ფერაძემ.

საინტერესო სპექტაკლს, რომელიც თბილისის წარმოების მუშაკებმა სოფელ რუხის მშრომელებს უჩვენეს, აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ იმ კოლმეურნეობის მშრომელები, რომელიც მათი თანასოფლელის — ომის გმირის სახელს ატარებს.

* * *

მმსამმ სეზონია ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე წარმატებით იდგმება ესპანელი რევოლუციონერი პოეტის ფედერიკო გარსია ლორკას დრამა „სისხლიანი ქორწილი“.

სპექტაკლი დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა თ. მესხმა. მთავარ როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. კიკნაძე, გ. ნაცვლიშვილი, მსახიობები ი. ბალიაშვილი, ლ. ვაშაძე, ე. ლასხიშვილი, ე. სვანიძე და სხვები.

„სისხლიანი ქორწილი“ თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო დადგმაა ამ ბოლო წლებში. სპექტაკლი უჩვენეს გასტროლების დროს თბილისში და მან მაყურებელთა, პრესისა და თეატრალური საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

25 წლის წინათ ეს პიესა ქართულად თარგმნა მაშინ ახალგაზრდა რეჟისორმა, ახლა მოზარდ-მაყურებელთა ქართული თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. ჭელიძემ. პიესა პირველად დადგა ფოთის თეატრმა. შემდეგ დადგეს ბათუმის, სოხუმის, თელავის, ჭიათურისა და სხვა თეატრალურმა კოლექტივებმა.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა ჰკითხა მთარგმნელს, რით არის გამოწვეული დრამის ასეთი წარმატება? — თვითონ ნაწარმოებით, — უპასუხა მან. ნაწარმოების დიდმა ჰუმანურობამ იგი ქართველი მაყურებლის საყვარელ პიესად გადააქცია.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელი ა. ვასაძე ამბობს, რომ გ. ლორკას დრამა გამოირჩევა დიდი სცენური დამაჯერებლობით, ლაკონიზმით, სისადავით, მისი აზრით, „სისხლიანი ქორწილი“ დიდხანს დარჩება ქართული თეატრის რეპერტუარში.

საქართველოს თერაპევტთა საზოგადოება

ცხრაასამდე მეცნიერ მედიცსა და პრაქტიკოს ექიმს აერთიანებს ჩვენი რესპუბლიკის თერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოება. ბევრი კარგი საქმე გაუკეთებიათ საზოგადოების წევრებს. სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ისინი ამჟამად პრაქტიკოს ექიმ-თერაპევტებს, ნერგავენ მედიცინის ახალ მიღწევას ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში, პროპაგანდას უწევენ სანიტარულ-ჰიგიენურ ცოდნას მოსახლეობაში და სხვ.

მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე 40 პრაქტიკოსი ექიმი-თერაპევტი ჩაებეს სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში. მათი ნაწილი დისერტაციებზე მუშაობს. საზოგადოების სხდომებზე ისინი კითხულობენ მოხსენებებს შესრულებული კვლევის შესახებ.

თერაპევტთა საზოგადოების წევრები სწავლობენ საქართველოში თერაპევტული მეცნიერების შექმნის ისტორიას და იმას, თუ რა როლი შეასრულეს ამ მეცნიერების განვითარებაში რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერმა თერაპევტებმა. საზოგადოების გამგეობამ მოაწყო თერაპევტთა ქართული სკოლის ფუძემდებლების, პროფესორების ს. ვირსალაძის, ა. ალადაშვილის, შ. მიქელაძის, მ. წინამძღვრიშვილის, გ. დიდებულიძის, ს. კანდელაკის ხსოვნისადმი მიძღვნილი სალამოები.

დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევს საზოგადოება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს. მისი წევრები სისტემატურად უწევენ კონსულტაციებს საქართველოს ქალაქებისა და სოფლების სამედიცინო პერსონალს.

ახლახან საზოგადოების გამგეობამ შექმნა იმ მასალების შემსწავლელი კომისია, რომლებიც ასახავენ თერაპევტიკის მეცნიერების განვითარებისა და თერაპევტიკულ დაწესებულებათა ქსელის გაფართოების ძირითად ნიშანსვეტებს.

ყოველივე ეს რესპუბლიკის საზოგადოების თავმჯდომარემ პროფესორმა ი. ცინცაძემ მოახსენა საბჭოთა კავშირის თერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის პლენუმს. პლენუმი ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა თბილისში.



ახალი წიგნები

კომპოზიტორი ერეკლე ჯაბადარი

სულ რაღაც ოთხი-ხუთი წელია საქართველოს ფართო საზოგადოებრიობამ გაიცნო და შეიყვარა მდიდარი და საინტერესო შემოქმედება კომპოზიტორ ერეკლე ჯაბადარისა, რომელმაც მთელი ცხოვრება სამშობლოდან შორს, უცხოეთში გაატარა და იქვე გარდაიცვალა 1937 წელს.

კომპოზიტორის მუსიკის სამშობლოში დაბრუნებას დიდი ამაგი დასდო ჟურნალისტმა და უცხოეთში მოღვაწე ქართველ ხელოვანთა შემოქმედების მკვლევარმა ამირან ცამციშვილმა. მას საქმიანი მიმოწერა აქვს კომპოზიტორის ძმებთან შოთა, შალვა და ილია ჯაბადარებთან, რომლებიც საფრანგეთში ცხოვრობენ. ძმებმა საქართველოში გამოგზავნეს ერეკლეს ნაწარმოებები, რომლებიც ხშირად სრულდება ჩვენს საკონცერტო დარბაზებში, გადასცემენ რადიოთი და ტელევიზიით. რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება წერილები და რეცენზიები ამ ნაწაროებთა გარშემო, კომპოზიტორის შემოქმედებაზე.

ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ამირან ცამციშვილის ბროშურა „კომპოზიტორი ერეკლე ჯაბადარი“, რომელშიც მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ არის განხილული უცხოეთის მიწაზე სამშობლოს სიყვარულში დაფერფლილი მუსიკოსის ცხოვრება და შემოქმედება. ხოლო გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ მომავალი, 1966 წლისათვის გამოსაცემად ამზადებს ამავე ავტორის ვრცელ, ხუთ ფორმიან მონოგრაფიას კომპოზიტორ ერეკლე ჯაბადარზე.

„მცხეთელი მინდია“ — ასე უწოდებენ ამ ტაბილად მოლიმარ მოხუცს. იგი ცნობილი მეყვავილე-დეკორატორი მიხეილ მამულაშვილია, რომლის ზღარბული წვალკატას დასდარი ბაღით ყველა მოხიბლულა და აღტაცებულა. ეს სურათი ამ დღეებში გადაიღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა, რომელიც მცხეთაში ეწვია ყვავილების მესაიდუმლეს.

სპორტული მიმოხილვა

□ ლათინურ ამერიკაში □ ვნებათაღელვა დაცხრა □ ოლიმპიური ნაკრები გზას გაუდგა □ ქართველ მოჭიდავეთა წარმატება

ლათინური ამერიკა სულ უფრო მახლობელი ხდება ჩვენი სპორტსმენებისათვის. იქ თითქმის ერთდროულად ტურნეს მართავენ საბჭოთა კალათბურთელები და ფეხბურთელები. ჩვენმა კალათბურთელებმა, რომელთა შემადგენლობაში თბილისის დინამოელები ზ. საკანდელიძე და ა. სხეირელი შედიან, ცხრა მატჩი გამართეს ბრაზილიასა და არგენტინაში. აქედან ისინი ექვსჯერ შეხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონს ბრაზილიის ნაკრებს და ექვსჯერვე დამარცხეს მეტოქე. ეს უპრეცენდენტო შემთხვევაა. ბრაზილიელებს არასოდეს წაუგიათ თავის ბოდახზე.

ტურნეს განაგრძობენ ლათინურ ამერიკაში ჩვენი ფეხბურთელები. ბრაზილიის ნაკრებთან ფრედ (2:2) დამთავრებული მატჩის შემდეგ, საბჭოთა ფეხბურთელები არგენტინის ნაკრებს შეხვდნენ, შემდეგ კი ურუგვაის. ისევე როგორც რიო-დე-ჟანეიროში, ბუენოს-აირესშიც ფრედ (1:1) დამთავრდა ორთაბრძოლა. გაზეთები ერთხმად აღნიშნავდნენ მეტრეველისა და მესხის ბრწყინვალე თამაშს. სწორედ მესხი იყო თანაავტორი ბონიშევსკის მიერ გატანილი ბურთისა.

ურუგვაის ნაკრები საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს. შესანიშნავად ითამაშა მეკარე ა. კავაზაშვილმა, მცველმა მ. ხურცილავამ, თავდამსხმელმა ს. მეტრეველმა. მიუხედავად იმისა, რომ მაყურებლებმა დასაწყისში წყრომა გამოთქვეს, რომ მოედანზე არ იყვნენ იაშინი, ვორონინი, მესხი, თამაში საინტერესო და დაძაბული იყო. საბჭოთა ნაკრები მონტევიდეოდან ჩილიში გაემგზავრება.

საზეიმოდ დაიხურა მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა მატჩი მ. ტალსა და ბ. სპასკის შორის. გაიმარჯვა ბ. სპასკიმ ანგარიშით 7:4. მატჩის ბოდი გადაწყდა მეცხრე პარტიაში, როდესაც 4:4 იყო. სწორედ აქ უმტყუნეს ნერვებმა თბილისელთა ფავორიტს, რიგელ გროსმაისტერ მ. ტალს. მისი მეტოქე ფიზიკურად გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდა, თანაც ტალი სერიოზულადაა ავად.

უკვე შეუდგა მზადებას სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდი. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მომავალი 1968 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის ემზადებიან და რამდენიმე საერთაშორისო მატჩიც ჩაატარეს. გუნდს წვრთნის თბილისის „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელი გ. კაჭალინი.

ოლიმპიურ ნაკრებში ბევრია ქართველი სპორტსმენი — ქუთაისელი დ. ვეცუა, თბილისელები ვ. ჭელიძე, გ. ხარითონოვი, ა. ილთადი, ე. ხუციშვილი. ახლა ოლიმპიელები კუბაში იყოფებიან. პირველი მატჩი ადგილობრივ ნაკრებთან მათ ანგარიშით 9:1 გაიმარჯვეს. აღსანიშნავია რომ ამ მატჩში 4 ბურთი ე. ხუციშვილმა გაიტანა.

ბერლინში ჩატარდა სოციალისტური ქვეყნების „დინამოს“ ძიუდოისტთა სპორთაშორისო ტურნირი. წრმატებით გამოვიდნენ თ. მარტოფლიშვილი და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი ა. კოკნაძე. მათ პირველი ადგილები დაიკავეს.

ჩეხოსლოვაკიის ღია ჩემპიონატში კლასიკურ ჭიდაობაში მრავალი ქვეყნის ცნობილმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. წარმატებას მიაღწია თბილისელმა ახალგაზრდა ოსტატმა ო. ბლიაძემ (ქვესაშუალო წონა), იგი უფლიერესი იყო და სამართლიანად დაიმსახურა პირველი ადგილი. ო. ბლიაძემ ამასწინათ ვერცხლის მედალი მოიპოვა საკავშირო ასპარეზობაში. სპეციალისტების აზრით ო. ბლიაძე მზარდი და დიდი მომავლის სპორტსმენია.

საბჭოთა ნაკრებისათვის შორს არ არის მსოფლიოს ჩემპიონატის წინასწარი შეხვედრები ხელბურთში. პირველი ასეთი მატჩი მათ ექნებათ ფინეთთან (28 დეკემბერს), ხოლო მეორე გდრ-სთან (15 იანვარს).

ახლა ხელბურთელები საზღვარგარეთ ატარებენ ტურნეს. პირველად ისინი დანიას ეწვივნენ. პირველი შეხვედრა მათ წააგეს (14:15), მეორე კი ფრედ (16:16) დაამთავრეს. 8 და 9 დეკემბერს საბჭოთა ნაკრებს მატჩები შვეციაში ექნება, 12 და 13 დეკემბერს — ისლანდიაში.

გუნდის შემადგენლობაში სხვებთან ერთად არიან თბილისის ბურევესტნიკის“ ხელბურთელები: მეკარე — ჯ. აბაიშვილი, თავდამსხმელები ჯ. ცერცვაძე და ი. ფხაკაძე. გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელია გ. შარაშიძე.

რადიო

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით სა-შუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე—50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია.

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.